# სახალხო ფურცელი

№ 172 სამშაბათი 17 იანვარი 1917 წ. № 172

**განცხადების ფასი.**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15╳2 ღირს 6 მან., 20╳2 ღირს 8 მან., 25╳2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29


## მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

# „სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 3 მ. 75 კ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სახალხო ფურცლის რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6 Тифлисъ, редакція „Сахалхო Пурцели“ поч. ящ. 190.

---

მიჰრან ალექსანდრეს ძე ანანოვი, მეუღლე მარგარიტა ივანეს ასულითა და ბავშვებითა გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც პირადად დასაფლავებაზე დასწრებით, ან წერილობით პატივი სცა მის დაუვიწყარ ძმის

## აბგარ ალექსანდრეს ძის
# ანანოვის

ხსოვნას. 444

---

ხრიპსი მარდიკას ასული ანანოვისა გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც პირადად დასაფლავებაზე დასწრებით, ან წერილობით პატივი სცა მის დაუვ წყარ ქმრის

## აბგარ ალექსანდრეს ძის
# ანანოვის

ხსოვნას. 444

---

13 იანვარს, ნაშუადღ. 2-ნახვარ ს., ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

## ვლადიმერ იესეს ძე ალავიძე,

რასაც აუწყებენ ღრმა მწუხარებით მეუღლე მიცვალებულისა, მართა დარისპანის ასული, შვილები: ივანე, გიორგი, ოლღა და ნინო ვლადიმერის ასული საყვარელიძისა, რძალი, ელენე დავითის ასული, ძმა რაჟდენ იესეს ძე ალავიძე, სიძე ამბერკი ალექსანდრეს ძე საყვარელიძე და ხოფიო იესეს ასული ჩხეიძისა, ცოლის და ელენტია დარისპანის ასული აბაშიძე. მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს, 17 იანვარს, 10 ს., საკუთარ ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქ., საკუთარი სახლი, 107), ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდან კი წმინდა ნინოს სასაფლაოზე, სადაც იქნება მიცვალებულის დაკრძალვა. 45

---

ივანე გაბრიელის ძე დუმბაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. შემოქმედში გარდაიცვალა მეუღლე მისი

# ა ნ ნ ა

გამსვენებულის დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 17 იანვარს, სოფ. შემოქმედში. 1018

---

## ხონის მომხმარებელ საზოგადოების „იმედის“ გამგეობა

ამით აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ

## საზოგადოების წლიური კრება

დანიშნულია კვირას, 22 იანვარს, დილ. 9 ს., თეატრის შენობაში.

კრების წესრიგს შეადგენს: 1. გამგეობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. გასული წლის ანგარიშების დამტკიცება, 4. 1917 ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5. საკუთარ ბინის შეძენის შესახებ, 6. გამგეობისათვის კრედიტის გახსნა, 7. მოგების განაწილება, 8. არჩევნები, 9 გამომძიებელ კომისიის მოხსენება ძველი გამგეობის ანგარიშების შესახებ.

თუ ეს პირველი კრება არ შესდგა, მეორედ დაინიშნება 29 იანვარს.

1016 ხონის მომხ. საზოგ. „იმედის“ გამგეობა.

---

# ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის

# კ ა ნ ტ ო რ ა

14 იანვრიდან გადადის ახალ შენობაში, კრილოვის ქუჩაზე (რომელიც მიხეილის პროსპექტიდან მტკვრისაკენ შეუხვევს) ბერკოვიჩის სახლში, № 10. 1014

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 17 იანვარს, 1917 წელს,

# სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

---

# ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 1917 წ.

16 იანვრიდან

ორშაბათი:
## ოპერეტი
ბილეთები 1 მ. 70 კ.-დან 50 კ.-მდე

სამშაბათი:
## კონცერტი
სიმებ. ორკესტრის
მ. ა. გოლცევ-იზრაელის ლოტბარობით

ოთხშაბათი:
## სინემატოგრაფი

ხუთშაბათი:
## ქართ. წარმოდგენა

პარასკევი:
## ო პ ე რ ე ტ ი

შაბათი:
მუსიკალური საღამო
პროფესორ ე. ქ. რიაბოვისა.

კვირა:
## რუსული წარმოდ.

დასაწყისი კონცერტებისა საღ. 9 ს. სპექტაკლებისა დ სინემატოგრაფებისა 8½ ს., სტუმრები იხდიან შესასვლელ ფასს კაცები 1 მ., მანდილოსნები დ სტუდენ. (ფორმაში) 50 კ. 1001

---

ახალი გრანდიოზული



# ცირკი
## ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00

დღეს, 17, და ოთხშაბ., 18 იანვარს გაიმართება

## დიდი საგასტროლო წარმოდგენები.

პირველი გასტროლი განთქმულ ერთად-ერთ თავის დარგში შეუდარებელ ელასტიურ მეფისტოფელის მეფის ჯოჯოხეთისა ბ-ნ ლეონელისა. ხალხის თხოვნით კიდევ სამი გასტროლი პალოდია ზუბრიცკისა. გასტროლები მშვენიერ ინგლისელ ქალების, დების ვარინგტონებისა. პირველად დიდი კლოუნთა ბალეტი, მონაწ ლეობს 60 ქალ-ვაჟი, პირველად კამბაროვი რვა ცხენს გადაახტება. პირველად როზეტი და კოლპეტი წარმოადგენენ ჩვენ მოკავშირე სახელმწიფოებს და გერმანელთა ჯარის უკან დახევას. აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი 8 ს. ✦ წაიკითხეთ აფიშებში 46

---

ექიმი
## ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

---

ექიმი
## ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ...ის ქ. № 6

---

ექიმი
## კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1371

---

## დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს, კვირა დღის გარდა. 1060

---

ექიმი ქალი
## ს. ზ. მირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა სამკურნალოსი.

იღებს ... ავადმყოფთ ყოველ-დღე ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე, კვირა დღის გარდა. სერგიევის ქუჩა, № 1. ტელეფონი, № 16—67 1409

---

ექიმი
## მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

---

## საექიმო კაბინეტი ექიმ
## პ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქესო., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმლების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესავ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

---

ექიმი კბილისა
## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 1 კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 2

---

ექიმი
## ვ. გ. ნანიტაშვილი

ვენერიულ, კანის, თმაშენვის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

---

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
## გ. გ. მექრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ძლიერ დ გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფტიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის ... ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ზუბალოვის ქ., № 28, ტელეფ. ... 868

---

ექიმი
## თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

---

ექიმი
## გ. მ. მუხაძე

იღებს საღოსტაქრო ავადმყოფ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკ. ნომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიძისა. ტელეფ. 5—77. 1059

---

## ტფილისი, 17 იანვარი 1917 წ.

**დედისა და ბავშვის საკითხი.** თანამედროვე ომმა მრავალ საკითხთან ერთად კიდევ ახალი მწვავე სოციალური საკითხი წამოგვიყენა:—დედისა და ბავშვის მდგომარეობა. ჩვეულებრივ დროს ამ პრობლემის სიმწვავეს სათანადოდ არც კი ვგრძნობდით, ბუნებით უხვი ჩვენი ქვეყანა, ჰაერისა და წყლის სიდიადე ბუნებრივ მკურნალობის როლს ასრულებდა და უზრუნველჰყოფდა მცხოვრებთა გამრავლებას.

მაგრამ საზოგადოებრივი დაუძლურება, ქონებრივი სიღატაკე, რომელიც ომს მოსდევს, ქვრივ-ობლებისა და დავრდომილთა გამრავლება ყველა სახელმწიფოსათვის საშინელ საკითხად წარმოსდგა და დააფიქრა სახელმწიფო მოღვაწენი.

ყველაზე მეტად მცხოვრებთა შემცირების გავლენას განიცდის მცირერიცხოვანი ერი. მამაკაცობის 45% შეადგენს 20—60 წლის ასაკს, ომი კი სწორედ ამ ასაკის ხალხს მუსრს ავლებს და მაშასადამე უმწეო მდგომარეობაში აგდებს ერის ცხოვრებას. თუ ქართველთა რაოდენობას ორ მილიონს ვიანგარიშებთ, გამოვა ოთხასი ათასი საჯარისკაცო ძალა, ამ მცირე რიცხვიდან ყოველ ათასის გამოკლება ფრიად შესამჩნევი იქნება ჩვენი კეთილდღეობისათვის. ამნაირად დედისა და ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხი ჩვენი ერის დაცვისა და ძლიერების საკითხია. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება სახელმწიფოებრივი საშუალება, რომ გონივრულ კანონების შექმნით დაიცვათ დედის ცხოვრების ყოველი მოვლენა, ხოლო ბავშვის მოვლა-აღზრდა ეროვნულ კეთილდღეობის საგნად გამოაცხადოთ;

რუსეთის ხავსმოკიდებულმა კანონმდებლობამ კი ამ მხრივ ნაბიჯი მხოლოდ 1912 წელს გადასდგა, 23 ივნისის კანონის გამოცემით. ის თითქმის სრულიად არ ეხება წვრილი წარმოებისა დ მეურნეობის დარგებს დ მაშასადამე ჩვენს მხარს ფაქტიურად გვერდს უვლის. საერობო და კულტურული დაწესებულებანი, რომელთა მიზანს შეადგენდეს დედისა და ბავშვის მოვლა-პატრონობა სრულიად არ მოგვეპოვება. რუსეთსა და ჩვენშიც მკურნალობის საქმე მკითხავებისა და გაიძვერათა ხელშია, სამკურნალო დაწესებულება მეტად ცოტაა და ხალხი იღუპება. გამოანგარიშებულია, რომ თითოეულ ბებია ქალს შეუძლიან წელიწადში მოუაროს ოთხმოცამდე ბალღს, რუსეთში კი ერთ ბებია ქალზე ხშირად ათასი ბალღი მოდის. ინგლისში ერთი ექიმი მოდის 1,700 სულზე, რუსეთში კი 6,500 სულზე. უკანასკნელ დროს რუსეთში ექვსი ათასი საწოლი იყო მშობიარე ქალთათვის, ქალთა რაოდენობა კი სამოც მილიონს აღემატებოდა, ასე რომ თითოეულ საწოლზე მოდიოდა ათი ათასი ქალი. კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, სოფლად და დაბად ხომ წარმოდგენაც არ აქვთ მშობიარე ქალთათვის საგანგებო ბინის არსებობისა.

ასეთ საარაკო პირობებში გასაკვირველი არაა, რომ ხალხში ვრცელდება მრავალგვარი ავადმყოფობა, სიმახინჯე და სიკვდილი. თუ ასეთი მდგომარეობა არ შეიცვალა ქართველთა ფიზიკური მთლიანობა დაირღვევა. დღემდე ომი იწვევდა მოდგმის შებღალვას, ეხლა კი ომთან ერთად შინაური მოუწყობლობაც ახდენს გავლენას და რასაკვირველია ომის ფუფუნები განადგურებს ისედაც დაბეჩავებულ ხალხს.

საშინელი ნიშნები უკვე საკმაოა ჩვენს ცხოვრებაში. რუსეთში წლიურად წუთისოფელს ესალმებოდა ცხრაას ოთხმოც-და-ათი ათასი გაზრდილი ადამიანი, მოზარდ თაობას კი აკლდებოდა ერთი მილიონი და ორასი ათასი სული. სავალალოდ, ჩვენში არსებული საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტები დაწვრილებით მასალას არ გვაძლევენ საქართველოს მდგომარეობისათვის. სამკურნალოს უწყებანიც ძალიან მოიკოჭლობენ. საერთო აზრით სიკვდილის მსხვერპლი ხდება მრავალი დედა და ბავშვი მოუვლელობისა და უექიმობის გამო.

ქართველ ექიმთა საზოგადოება სწორედ რომ დროზე იქმნა დაარსებული თუ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ღირსეულ ყურადღებას მიაქცევს. დედათა და ბავშვთა ცხოვრების მოგვარება ეროვნულ სხეულის დაცვაა და ყოველ საშუალებით უნდა ვცდილობდეთ მის სათანადოდ მოწყობას. მაგრამ ეს საკითხი სოციალური პრობლემაცაა და საზოგადოებას ჰმართებს ბრძოლა ისეთ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ორგანოების მოსაპოვებლად, რომელნიც ექიმთა საზოგადოების გეგმების განხორციელებას ხელს შეუწყობენ.

დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, სისტემატიური ლექციები ჰიგიენისა და სანიტარიისა, ბრძოლა შვილოსნობის ხელოვნურად ჩახშობის წინააღმდეგ, უფასო საექიმო და სამკურნალო დახმარების მოწყობა, რჩევა-დარიგება, მატერიალური დახმარება და ზრუნვა რაციონალურ კანონმდებლობისათვის შეგნებულ ქართველის მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

## ქართული პრესა

მივიღეთ ახალი ქართული კვირეული ჟურნალის „პირველი ნაბიჯის“ პირველი ნომერი. ჟურნალი ასე არკვევს თავის მიმართულებას.

—ჩვენი რედაქციას მიზნად ისახავს მუშათა კლასის ინტერესების დაცვას, რომელიც **მარქსისტული კლასთა ბრძოლის** თვალსაზრისით გააშუქებს ყოველგვარ საყურადღებო და საჭირბოროტო კითხვებს, რასაკვირველია, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში. აქედან ცხადია რომ ჩვენ ვემსახურებით განსაზღვრულ მიმართულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კამათი და აზრთა შეჯახება მოგვიხდება ყველა იმათთან, რომლებიც ჩვენს მსოფლ-მხედველობას არ იზიარებენ. მაგრამ ამით ყველაფერი არ თქმულა. ჩვენი ღრმა სურვილია, შევქმნათ ისეთი პოპულიარული მუშათა ორგანო, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებს, მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლ, ყველა მოძრავ ელემენტებს, **განურჩევლად ფრაქციული მიმდინარეობისა** რომ ამგვარად, საერთო თანამშრომლობით, ხელი შევუწყოთ მუშათა მასის პოლიტიკურსა და ეკონომიურ გათვითცნობიერებას...

რედაქცია აღნიშნავს ვიწრო ფრაქციულ სექტანტიზმს, გაბატონებული მიმდინარეობის მიერ სუსტის შევიწროებას, კარჩაკეტილობას და აღიარებს „თავისუფალს კრიტიკას მაგრამ მთლიანობის დაცვას“.

თანამედროვე ომის გამო „პირველი ნაბიჯი“ აცხადებს, რომ იზიარებს ციმერვალდის კონფერენციის პოზიციას და მთელი ყურადღება აქეთკენ მექნება მიქცეულიო.

# ომის გარშემო

## ომის დღიური

ომის საერთო ასპარეზის სულ სხვა და სხვა ალაგებში, ურთიერთთან მეტად დაშორებულში, ასტყდა აქტიური მოქმედება. ვერდენი და რიგა; რიგა და მესოპოტამია. დეპეშები კვლავ გვისახელებენ მაასის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებს: „304“ მაღლობი, მორტომი, ვევრი და სხვა. გერმანელები მეტად ჯიუტი ხალხია და თუ ერთ რასმე თვალში ამოიღებენ, ძნელად თუ დაანებებენ თავს. გვახსოვს, რამდენი ენერგია და მსხვერპლი შესწირა გერმანიამ ვერდენის რაიონს და ეხლა თითქოს კვლავ უბრუნდება ვერდენის რაიონს. გუშინწინდელი და გუშინდელი დეპეშები ცხადად გვიმტკიცებენ, რომ ვერდენის რაიონში სერიოზული მოქმედება დაიწყო. ჯერ-ჯერობით ძნელი გამოსარკვევია, ფართო ოპერაციასთან გვაქვს საქმე, თუ მხოლოდ მკაცრ დემონსტრაციასთან. შვეიცარიაში მომხდარმა მობილიზაციამ ნათლად დაგვანახა, რომ შვეიცარიის ნეიტრალიტეტს ყოველ შემთხვევაში საფრთხე მოელის, მაგრამ ვისი მხრით დ საიდან—ეს ჯერ გამორკვეული არ არის. თვით შვეიცარიის მთავრობა მთავარ ყურადღებას საფრანგეთის და იტალიის საზღვრებს აქცევს და ნაკლებს გერმანიის და ავსტრიისას. მაშასადამე შვეიცარია თითქოს უფრო დასავლეთის და სამხრეთის მხრით მოელის საფრთხეს. მაგრამ ამასთანავე იქვს გარეშეა, რომ გერმანია ახალ არმიას აგროვებს სადმე ბაზელის მახლობლად. მაგრამ რა დავალება და მიზანი აქვს დასახული ამ ახალ არმიას არავინ იცის. ზოგის აზრით გერმანია ვითომ ერთგვარ პროვოკაციას ახდენს: შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევის დამუქრებით, გერმანია ცდილობს საფრანგეთს და იტალიას უწინ დაარღვევინოს ეს ნეიტრალიტეტი და ამით სახელი გაუტეხოს ოთხთა შეთანხმებას ნეიტრალურ სახელმწიფოთა შორის. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში გერმანია რაღაცას აპირებს დასავლეთის ასპარეზის წინააღმდეგ. ვერდენის რაიონში გაჩაღებული ბრძოლა ალბად წინამორბედი უნდა იყოს რაიმე დიდი ბრძოლისა.

რიგას რაიონში გერმანელები დიდს აქტივობას იჩენენ და ცდილობენ არამც თუ დაკარგულ პოზიციების დაბრუნებას, არამედ უფრო წინ წაწევას.

ინგლისელების მოქმედება მესოპოტამიაში პირველი შეხედვით თითქოს ნაადრევად არის დაწყებული. მესოპოტამიის ოპერაცია მჭიდროდ გადაბმული უნდა იყოს კავკასიის და მეტადრე სპარსეთის ბრძოლის პირებით მოქმედებასთან. მაგრამ ამ უკანასკნელ ასპარეზებით მოქმედებას ამინდი და ადგილობრივი პირობები აფერხებენ და ეს უმოქმედობა ოსმალეთს საშუალებას აძლევს თავისი ჯარი გზავნოს ბალკანეთში. შეიძლება ინგლისელებმა სწორედ ამის საწინააღმდეგოდ დაიწყეს მესოპოტამიაში აქტიური მოქმედება.

## უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი**, 13 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ტირულის ჭაობის და მდ. აას შუა (რიგას დასავლეთით) ჩვენმა ჯარმა შეტევა იწყო, უკუაქცია მოპირდაპირე, წაართვა 2 ტყვიისმტყორცნელი და ტყვეები; მაგრამ შემდეგ გერმანელების შემოტევის გამო წინანდელ პოზიციაზე დაიხია. მდ. აას აღმოსავლეთ ნაპირით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით $1^1/_2$ ვერსი წაიწია სოფ. კალნცემის მიმართულებით, მაგრამ შემდეგ მოპირდაპირის კონტრიერიშების გამო წინანდელ პოზიციაზე დაბრუნდა. ბრძოლის ხელმძღვანელი გენერალი ივაშკევიჩი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის პირი მაინც არ დასტოვა. მდ. ბერეზინას შესართავის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა მარჯვედ გაილაშქრეს და 23 გერმანელი დაატყვევეს. მოპირდაპირის ჰაეროპლანებმა ყუმბარა დაყარეს სად. რაძივილოვს, მაგრამ ზარალი არ მოუყენებიათ.

**რუმინიის ბრძოლის პირი.** თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 14 იანვარი, ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ძლიერი არტილერიის სროლის შემდეგ კალნცემ-შლოკის აღმოსავლეთით, გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენი ჯარის წინააღმდეგ. მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. მიტავის შარა გზის რაიონში მოშხამული გაზი ვიხმარეთ, რამაც გერმანელების შორის აურზაური ასტეხა.

**რუმინიის ბრძოლის პირი.** ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 15 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენ ჯარზე კალნცემ-შლოკის შარა გზის ორივე მხრით, რიგას დასავლეთით; იერიში მოვიგერიეთ და გერმანელებმა უწესოდ დაიხიეს. ორი საათის შემდეგ გერმანელებმა კვლავ იერიში მოიტანეს, მაგრამ კვლავ უკუვაქციეთ. არტილერიის სროლის შემდეგ გერმანელებმა შეტევა დაიწყეს ჩვენს პოზიციის წინააღმდეგ კალნცემის 6 ვერსის ჩრდილო-დასავლეთით. სროლით შევაჩერეთ 12 იანვარს ღამით არტილერიის სროლის შემდეგ მოპირდაპირის მცირე რაზმებმა შეტევა დაიწყეს მდ. შარას ხაზით გაყოლებულს ჩვენს სადარაჯოების წინააღმდეგ, ბარანოვიჩი-ლუნინეცის რკინის გზის რაიონში, მაგრამ უკუვაქციეთ თავის თხრილებში.

ბროდის სამხრეთით მოპირდაპირემ ჩვენს დარაჯებზე იერიში მოიტანა, მაგრამ კონტრიერიშით და სროლით, უკუვაქციეთ და უწესოდ თავის თხრილებში დაიხია. კირლიბაბას ჩრდილოეთით მოპირდაპირის შეტევა მოვიგერიეთ.

**რუმინიის ბრძოლის პირი.** არტილერიის სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო კიმპოლუნგ-იაკობენის შარა გზის ორივე მხრით და მედგარი ბრძოლის შემდეგ სამი ვერსით გაარღვია მოპირდაპირის გამაგრებული პოზიცია. წავართვით ტყვეები და ნადავლი, რომლის რაოდენობას ვარკვევთ.

## დასავლეთის ასპარეზი

**პარიზი** 13 იანვარი. ცნობა საღამოთი. დამატებითი ცნობებით მოპირდაპირის მიერ გუშინ მაასის მარცხენა ნაპირით წარმოებული იერიში მეტად მკაცრი ყოფილა. იერიშში მონაწილეობდა გერმანელების რამდენიმე პოლკი. რამდენიმე ალაგას ხელჩართული ბრძოლა მოხდა. დილით მიტანილმა ძლიერმა იერიშმა საშუალება მოგვცა „304“ მაღლობის რაიონი დაგვებრუნებინა, აგრეთვე დავიბრუნეთ მოპირდაპირის მიერ წართმეულ თხრილების მეტი ნაწილი. მაასის მარჯვენა ნაპირით ბეზანვო-დუომონის რაიონში, ვევრში რენვილის რაიონში და ლიუნევილის რაიონში არტილერიის ძლიერი ბრძოლაა.

**პარიზი.** 14 იანვარი. ცნობა საღამოთი. მაასის მარცხენა ნაპირით „304“ მაღლობის რაიონში, მორტომთან და მარჯვენა ნაპირით ლუვემნის და კარიერის ტყის რაიონებში არტილერიის საკმაოდ ძლიერი სროლაა. ლორენში ჩვენი არტილერია უშენდა გერმანელების პოზიციას პარუას ტყეში.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ლონდონში მომხდარ აფეთქების ამბავი.

„რუსკოე სლოვოს“ ლონდონელი კორესპონდენტი დაწვრილებით მოგვითხრობს იმ საშინელი აფეთქების ამბავს, რომელიც ლონდონში 6 იანვარს საღამოთი მოხდა. „სწორედ შვიდის შესრულებას 15 წუთი აკლდა, რომ ჰაერი საშინლად შეინძრა და სადღაც შორიდან საშინელი გრიალი მოისმა. ვერ აგიწერეთ იმ საშინელ შთაბეჭდილებას, რომელიც ქალაქის უცბად შერყევამ გამოიწვია. ასეთ საშინელ ქუხილს ალბად მხოლოდ მაშინ მოისმენს ქვეყანა, როდესაც დედამიწა უკანასკნელად გაიპობა, რათა მოყოველისფერი შთანთქას. ქუჩაში მოსიარულენი, შეძრწუნებულნი უცბად შეჩერდნენ. ბევრი ზეცაში იყურებოდნენ, ეგონათ იქიდან ხომ არ ჰქუხს ასე საშინლადო. მაგრამ ქუხილი მალე შესწყდა და აღარ განმეორებულა. ყველაფერი მიყუჩდა და მხოლოდ წვიმდა. უმალ ქალაქში სხვა და სხვა ხმა გავრცელდა. ზოგი ამბობდა ცეპელინები დაგვეცნენ; ზოგის სიტყვით თოფის წამლის საწყობი უნდა აფეთქებულიყო; ზოგი კიდე გაიძახდა—გაზის ქარხანას ცეცხლი მოეკიდაო. გავიქეცი რათა ამბავი გამეგო, მაგრამ უკვე ახლობელ ხიდიდან დავინახე: ლონდონის სამხრეთ ნაწილს უშველებელი კვამლი ასდიოდა და დავრწმუნდი რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყოს, დილით მივედი და დავათვალიერე კატასტროფის ადგილი. როგორც იცით აფეთქდა ყუმბარების ქარხანა. ამბობენ, რამდენიმე აფეთქება მოხდაო, ერთი მეორეს თურმე მოსდევდა, რამ გამოიწვია აფეთქება, ჯერ გამორკვეული არ არის და შეიძლება ვერც გამოირკვეს. მაგრამ არის საბუთები ვიფიქროთ, რომ უბედურმა შემთხვევამ გამოიწვია ეს საშინელება. ბევრი ხალხი დაიღუპა ქარხანაში. მაგრამ უფრო მეტი ახლო-მახლო უბნებში, რომელნიც მუშა და ხელმოკლე ხალხით არიან დასახლებულნი. აფეთქების გამო გაჩენილი ცეცხლი სხვა შენობებსაც გადაედო. აფეთქების დროს ფოლადის გავარვარებულ ნატეხებს შორს ისროდა და ეს ნატეხები ხალხს ხოცავდნენ, შენობებს ცეცხლს უჩენდნენ და ამსხვრევდნენ ყველაფერს, რასაც კი მოხვდებოდნენ. ერთ ალაგას ასეთმა ნატეხმა გაანადგურა გაზის აუზი და ქალაქის ერთი უბანი ამის გამო უსინათლოდ დარჩა. ზარალი მეტად დიდია. ერთ ალაგას დაინგრა ელექტრონის სადგური, მეორე ალაგას ცეცხლის მქრობელი რაზმის დეპო და რაზმელებიც თან დაიყოლა, აფეთქების რაიონი პირდაპირ ჯოჯოხეთის სურათს წარმოდგენს. არა ერთი ათეული შენობა მიწასთან გასწორებულია, მხოლოდ ზოგი ერთი ალაგას მოსჩანან ტელეფონის და ტელეგრაფის ბოძები. აფეთქების ორი დღის შემდეგ უზარმაზარი ქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სამხედრო სამინისტროს განცხადებით მომხდარი აფეთქება სრულიადაც არ შეაფერხებს საჭირო სამხედრო მასალის დამზადებასაო.

### შვეიცარიის მობილიზაცია.

გაზ. „დენის“ ცნობილი სამხედრო მიმომხილველი დიმიტრიევი ეხება შვეიცარიის ჯარის მობილიზაციას, მოჰყავს სამხედრო ისტორიიდან მაგალითები, როდესაც შვეიცარიის ნეიტრალიტეტი დარღვეული იქმნა და აგრეთვე ახასიათებს თვით შვეიცარიის ახლანდელ მობილიზაციას. დიმიტრიევი სხვათაშორის სწერს: შიდა გერმანიიდან იმ გვარი ცნობები მოდის, რომ თითქოს ცდილობენ ქვეყნის ყურადღება რუმინიის ასპარეზიდან დასავლეთის ასპარეზისაკენ მიაქციონ ნიშნები კი ისეთია, რომ სწორედ მდ. სერეტის ნაპირით, მეტადრე გალაცთან, სერიოზული ოპერაცია უნდა მზადდებოდეს. სინამდვილესთან ახლოს არის ცნობა, რომ შიდა გერმანიაში მზადდება ახალი არმია; მაგრამ ამ არმიის დანიშნულებაზე ოფიციალური წყაროები კრინტსაც არა სძრავენ და ჩვენც არაფერი ვიცით. მხოლოდ სტრატეგიული მოსაზრება გვიკარნახებს, რომ ეს არმია დასავლეთის ასპარეზისათვის უნდა მზადდებოდეს. ფრანგული წყაროები აღნიშნავენ გერმანიის ჯარების დიდს მოძრაობას ალზასში და რეინის ოლქში. თითქოს ამის დამადასტურებელია შვეიცარიის მობილიზაცია, შვეიცარიამ მოახდინა პირველი ორი დივიზიის სრული და მესამე და მეოთხე დივიზიების მობილიზაცია. რიცხვით ეს ოთხი დივიზია მართალია დიდს ჯარს არ წარმოადგენს, სულ 60 ათასი იქნება, მაგრამ ეს ხომ შვეიცარიის მთელ რიგის ჯარის ნახევარია და ამიტომ ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა. მაგრამ უფრო საყურადღებოა ის, თუ რომელ ოლქებში ხდება მობილიზაცია და საითკენ უფროა შვეიცარიის გულისყური მიქცეული. თუ დავაკვირდებით მობილიზაციას, დავინახავთ, რომ მობილიზაცია თითქმის მთელი შვეიცარიის ტერიტორიაზეა გამოცხადებული, გარდა აღმოსავლეთის კანტონებისა და ყველაზე მეტად გამზადებულია ჟენევის ოლქი და მის მახლობლად მდებარე კანტონები. ჟენევის ოლქს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. აქედან შეიძლება ოპერაციის წარმოება როგორც ლიონის, აგრეთვე მაკონის და სავოის წინააღმდეგ და სწორედ ამიტომ 1814 წელს ნაპოლეონის აზრით ლიონის საუკეთესოდ დაფარვისათვის საჭირო იყო ჟენევის ოლქის ხელში ჩაგდება. ჟენევის ოლქი ერთნაირად ძვირფასია, როგორც გერ-

## წლის ნაკვთები

**(მიმოხილვა 1916 წ. სიტყვა-კაზმულ მწერლობისა.**

(შემდეგი*)

გარდა ამისა ფაშალიშვილს დიდი ღირსება აქვს, რაიც განსაკუთრებით ბოლო ხანებში გამოაშკარავდა, არ ვიცი, შეიძლება, ეს ღირსება კი არა [illegible] იყოს პოეტისადმი მიმართული, მაგრამ დღეს [illegible] მიღწეულია იგი, რომ [illegible]

ჩვენ მგონიბებს [illegible] შემოქმედების: [illegible] სად იწყება ლექსი და რატომ თავდება [illegible] ადგილას. [illegible] ფორმით და ინტერესით შეიძლება [illegible]

სხვანაირად რომ ვსთქვათ—ლექსში აზრი არ მოიპოვება, უმეტესად იგი ლამაზ რითმათა კრება, [illegible]

[illegible]

„ცრემლის ძეწკვით თვალი ლოყას გადადის, [illegible]

*) იხ. „სახ. ფურცელი“, № 798.

იმ ღეგვენსა გაუკვირდა ჩემი მოთქმა და ვაება

ბუტბუტებდა: „რა მოხდაო, რა აღელვებს, რა ადარიბს?—

[illegible]

ამ უკვე შეურვლ სრულად [illegible]

[illegible]

„სამი სტუმარი“. აქ თავიდან ბოლომდე ჩაიარს ჩვენს წინ ადამიანის, პირადად ავტორის, ცხოვრება (ფანტაზიით, რა თქმა უნდა). მასთან დრო გამოშვებით მოდის ერთი და იგივე სიმბოლო სტუმრად, მაგრამ სხვა და სხვა სახით, ამიტომ მგოსანს იგივ სტუმრად ეჩვენება.

ჯერ ამ უცნობს (ცხოვრების აზრის განხორციელებას) ჩვენ ვხედავთ პოეტის სიყრმის გაზაფხულზე, ყვავილოვნობას და ლხენას ჰპირდება იგი მას და წუთები რბიან უზრუნველად, საამურად. გადის დრო და „ცხოვრების შემოდგომაზე“ ისევ მოაკითხავს სტუმარი და მოაქვს ჭირლობა და კვნესა. ბოლოს იმავ სტუმარს ვხედავთ „ცხოვრების ზამთარში“, როგორც ყოფნის ბოლო სიტყვა და ცხოვრების მზის ჩასვენებისასას უკვე საკმაოდ ხდის ფარდას თვის თვალთმაქცობას სტუმარი:

„ყველა ჩემგან სჭკნება, დნება, იფერფლება—გზნებით, ვნებით,
და ვერავინ ვერ გაიგებს საწუთროს და ყოფნის მიზნებს,
რისთვის გაჩნდა, საით ილტვის და ლტოლვილს ვინ შეიხიზნებს?
ყველა ჰკარგავს ყველაფერსა და სანაცვლოდ მე-და მპოებს...
. . . . . . .
ძაფი გაწყდა სიცოცხლისა და საათიც მოიშალა“...

მთელი სიცოცხლე ლამაზის მოტყუილებით შეიქცია ამ „სტუმარმა“ ადამიანი. წვრილმანი მიზნები დაუსახა, მხოლოდ დროული: საგაზაფხულო, საშემოდგომო და სხვ., მან აჩვენა მარტო ნაწილები ამ ყოფისა თვისი პაწია მიზნებით და საშინელი ქეშმარიტება მხოლოდ არ ყოფნის წინ უმხილა. აქ გარდაუშალა სრული უაზრობა საკუთარ ყოფისა ცხოვრებამ ადამიანს და „საათიც მოშალა“. ასე ტყუილდება ადამიანი ცხოვრებისაგან, მაგრამ მაინც ცხოვრობს, პატარა, დროულ მიზნებით თავს იქცევს და არ იცის, რომ „ყველა ჰკარგავს ყველაფერსა და სანაცვლოდ სიკვდილს ჰპოებს“. პესსიმიზმი სიცოცხლისა მეტად გაღრმავებულია ამ ნაწარმოებში. მოთენთილი, მოღლილი, მაგრამ ამოუცნობი და სიცოცხლის არ მცნობი მიდის სამუდამოდ. დამახასიათებელია ისიც, რომ ამ ნაწარმოებში არ სჩანს მეოთხე სტუმარი, სტუმარი „სიცოცხლის ზაფხულისა“. თითქოს მზის ცხუნარება და ბუნების ზეიმი სრულიად უცნობი იყოს ავტორისათვის.

ზაფხული, როგორც სიმბოლო მზის და ცხოვრების გამარჯვებისა, სიცოცხლის ნაყოფიერების და აქტიობის უდიდესი მჟღავნება სრულებით შეუმჩნეველი რჩება ავტორს.

აქ ერთხელ კიდევ სჩანს ჩვენი ინტელიგენციის ლტოლვა უნიადაგო ოცნებისადმი (გაზაფხული) და მწარე სევდანი მოგონებისა (შემოდგომა) მაგრამ თვითონ ნაყოფიერების ხანა (ზაფხული შრომის და მზის ჭაობა) მისთვის არა ნათესაურია.

როგორც ჭვრეტისა და სილამაზის მგოსანს, ფაშალიშვილს ბევრი წარმტაცი სახეები აქვს:

„შენი კაბა ნაკერია თეთრ ლოტოსის ბუსუს ნავლით,
მის დილები ნაფერია ცივ სადაფის ფარაყ-ჭავლით.
და შენ სცეკვავ მზის ღიმილზე, სცეკვავ მიწის გამოცანად
და ნაზ ფეხით ზოლებს სტოვებ უკვდავების ანა-ბანად!“

საინტერესო პარალელი: გრიშაშვილს აქვს „ცეკვა“, ფრიად ლამაზი, მაგრამ იქ სხვა გვარი სიმარტივე-სიმკვირცხლე და ვნებაა. [illegible]ისთვის მეტყველი და აშკარაა ცეკვა, მაშინ როცა ფაშალიშვილისთვის იგი ამოცანაა.

„ოქროს ცოცხად იშლებოდა ბრილიანტის შადრევანი,
და მის ქვეშე ცისარტყელად შოლტობდა შენი ტანი.
და მე შენი ჩუმი ფეხი, ფეხი მოქნილ-მოძაგძაგე
უფრო მეტსა მეტყველებდა, ვიდრე იქ მყოფთ ენა-ბაგე“.
(იხ. გრიშაშვილის „ცეკვა“).

მრავალი სახე გრიშაშვილს უნათესავდება, მაგრამ თავისებურება მაინც სჩანს. გრიშ. ამბობს: „ტუჩზე ტუჩი დამაფარე, თმა მომხვიე აბრეშუმად“. ფაშალ. ხმარობს: „და ბაგენი ჩემს ბაგეზე დაალაგე მუქ ვარდებად“... და სხვ. ფაშალიშვილმა თავისი ნიჭი მოთხრობაშიც სცადა, მაგრამ უნდა ითქვას, სრულიად უნაყოფოდ. „დახუჭული თვალები“ შემთხვევათა კომბინაციაზე და იაფ-ფასიან ეფექტზეა აგებული. მელოდრამატიული დასასრული სრულიად არაბუნებრივია და მთელ მოთხრობას ყალბ შემოქმედებად ხდის...

* *
*

ძალიან უკმაყოფილების იერი გარდაკრავს ი. მჭედლიშვილის ლექსებს. მის ფართო ბუნებას, მთებიდან აქ რო მოვლინებულა, ვერ აკმაყოფილებს წვრილმანი ზრუნვა და შრომა პატარა კაცუნებისა. მჭედლიშვილს მეტად უყვარს მთის არწივი, ვაჟა და მის სკოლაში, აშკარაა, კარგ ადგილსაც დაიჭერს მომავალში. კარგა ხანია მწერლობს, მაგრამ მის სულს თითქოს ვერ მიუგნია საკუთარ მოწოდებისათვის, ...მისი შემოქმედება პროტესტისა და უკმაყოფილების სულითაა გაჟღენთილი. მასში არ არის (ამ ბოლოს მაინც) მოღლილობა სულისა, წინააღმდეგ მეტი ჭარბობა და სიუხვეა ენერგიისა, რომელსაც გამოსავალი ვერ უპოვნია და თვით მგოსნისათვის გამხდარა მტანჯავი. ეს სულიერი განცდა ხომ ძველია ჩვენს მწერლობაში—ვაჟამ დააფრქვია მისი ცხოველობა ჩვენს პოეზიაში და მჭედლიშვილი, როგორც პირმშო ვაჟასი ამ გზას გაჰყვა. მოიგონეთ ვაჟას ჟინ-მორეული ლექსი: „დამისხი დამალევინე, ეს ღვინო ოხერ ტიალი“... და სხვა და მის შემდეგ გადაიკითხეთ მჭედლიშვილის ლამაზი, მკვეთრი ძლიერებით აღსავსე ლექსი: „ჩემი ბოლო სიტყვაობა“.

„მაშ ღვინო! ღვინო! მომეცით ღვინო!
უნდა დავითრო უზომოდ დღესა,
უნდა ავიმღვრე და მოვევლინო,
შარა-ქუჩების სიგანივრესა:
უნდა სულ წმინდათ მივლეწ-მოვლეწო,
გარდავაქციო ნაცრად და მტვრადა
თუ დარჩა სადმე რამ ერთი ბეწო
ჩემი წარსულის მოსაგონრადა.“

საშინელი შეურიგებლობა სცემს ამ ლექსში. თანამედროვე ცხოვრების ინერტული, უმოძრაო სახე სრულიად არ ენათესავება მგოსანს და მას ბრაზმორეულს სწადია სულ ერთიანად მილეწ-მოლეწოს მსოფლიოს ჭაობი.

მან არ იცის რა სახით მოხდება ამის შემდეგ განახლება ცხოვრებისა, რა მსვლელობას მიიღებს იგი, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ყოფაში ცხოვრება შეუძლებელია, ასნეულებს აქტიურ ბუნებას ვაჟისას.

საზოგადოდ, ვაჟური დასაწყისი მგოსანში ძლიერად სცემს. მას არ შეუძლია ნაზი სევდა და ყრუ ქვითინი ჩვენის მგოსნებისა რამდენიმედ მაინც ინათესავოს. შეიძლება წარსულში მჭედლიშვილი იწევდა ამ უნაყოფო პესიმიზმისაკენ, მაგრამ ორგანიულ იგი არასოდეს შესთვისებია მას. მასში მუდამ იყო მშფოთავი და მაძიებელი სული...

ბოლოს მის შემოქმედებაში ხშირად შეხვდებით ერთსა და იმავე ხასიათის ლტოლვას დაუდგრომლობისადმი. იგი თითქოს ერთ ადგილს ვერ ისვენებს, მუდამ სადღაც მიიწევს, მიემგზავრება... აშკარაა, მისი მღელავი ბუნება ჩვენს ერთ დონეზე მდგარ ცხოვრებას, რომელშიაც აქტიობა აშკარად ჯერ არ მჟღავნებულა, ვერ ესხეულა და მიიწევს უცხო ადგილებისკენ. ალბად ამ შფოთვა-ძიებაში ფიქრობს დააცხროს ვნება თვისი.

თითქო[illegible] ერთი სადგომი მისთვის არც არსებობს და არც საინტერესოა. ნამდვილის პოეტურის სულის კვეთებით, მის მდიდარ ბუნებოვანობით გამსჭვალულია პოეტის პაწია ლექსი, რომლითაც იგი ეთხოვება თვის მხარეს. შორით, შორით მიიწევს იგი და შეიძლება იგი ახალი მხარე არყოფნა იყოს, მაგრამ იგი მაინც ახალია და მის ლოდინში სული ფართხალებს:

„ძმანო! მე მივალ სულ შორად, შორად...
ჰა გასაღები ჩემ სახლის კართა
რაც შიგა ჰპოვონ, გაიყონ სწორად
ჩემთა მოძულეთ და მეგობართა!“

აქ ცხადად სჩანს, რომ პოეტს აზრადაც არა აქვს როდისმე დაუბრუნდეს ამ უმოქმედობის სადგურს. მას უნდა სამუდამოდ განიავდეს, რადგან ბევრი სიმწარე შესვა მას თვის უსასოობით.

მშვიდობიანი ყოფა და წყნარი-უაქტო ლოდინი მომავლისა მას გულს უკლავს და სწადია—ვნება-აგზნებული შეიჭრას ამ თმენის სამლოცველოში და სასტიკი პროტესტის ხმით დაამსხვრიოს ღვთის იმედები.

...„მცნებათა ფიცარს ავიღებ ხელთა,
და მცნებათ ფიცარს დავახლი ძირსა“.
სამხიარულო ხმით გავიხსნი პირსა,
პანღურით გავრეკ მათზე მლოცველთა.

პოეტის სახე დღეის მწერლობაში უკვე ინდივიდუალურ აგაზნებით გამოკრთის.

აკ. პაპავა

(შემდეგი იქნება)

...ჯარების შეტევისათვის, აგრეთვე საფრანგეთის დაცვისათვის. ა[ს] ... მნიშვნელობა აქვს ბაზელის ... ხანს, მაგრამ აქ მხოლოდ ნაწილობრივი მობილიზაცია მოახდინეს. ერთი ... ყვით საფრანგეთის და იტალიის მოსაზღვრე ოლქებში სრული მობილიზაცია მოახდინეს იმ დროს, როდესაც გერმანიის მოსაზღვრე ოლქებში მხოლოდ ნაწილობრივი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგანაც ნეიტრალიტეტის დარღვევა უფრო გერმანიის მხრითაა მოსალოდნელი, ამიტომ შვეიცარიის მთავრობა ამ შემთხვევაში ფრთხილად იქცევა, რომ საბაბი არ მისცეს გერმანიას, რომელსაც შეუძლიან მობილიზაციის გამოცხადება მტრულ აქტად გამოაცხადოს და ამიტომ დაარღვიოს ნეიტრალიტეტი. მაგრამ კარგად ვიცით, რომ სამხედრო ისტორიაში მაგალითი არ ყოფილა, რომ პოლიტიკას საბაბი ვერ გამოეძებნა, თუ კი სტრატეგია ნეიტრალიტეტის დარღვევას მოითხოვდა. ერთი სიტყვით ავტორს სტრიქონების შუა ის აზრი გაჰყავს, რომ შვეიცარიის მობილიზაცია უფრო დასავლეთისაკენ არის მიმართული, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: შვეიცარიის გამოჩენილი სტრატეგი პოლკოვნიკი ფეილერი არკვევს გერმანიის სამხედრო მდგომარეობას და სწერს: გერმანიის მხრით ჯარების დაგროვება შვეიცარიის საზღვართან მხოლოდ თვალის ასახვევი დემონსტრაციაა. ყოველი ნეიტრალური მეთვალყურე გერმანიის ცდას ამ რკინის რკალის გარღვევისათვის სიგიჟედ ჩასთვლის. საბოლოო გამარჯვებისათვის გერმანიამ აუცილებლად დასავლეთის ასპარეზით უნდა გაიმარჯვოს. და სწორედ ამიტომ გერმანიამ დემონსტრაციას მიმართა, რათა ფრანგებს მარჯვენა წვერი წინ წამოაწევინოს შვეიცარიით, რაიც ოთხთა შეთანხმების წინააღმდეგ ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოს ამხედრებს.

იასიდან „რუსკია ვედომოსტი“-ს ატყობინებენ: ბუქურეშტში კვლავ გამოდიან გაზ. „უნივერსალ“-ი და „ადევერული“, მხოლოდ წინანდელი გერმანოფილური ორიენტაცია ეხლა გერმანოფილობით შესცვალეს, ცენზორად დანიშნულნი არიან გირმანოფილები კარპი და მარგილომანი.

**სათადარიგო ჯარის კაცთა დაბარება შვეიცარიაში.**

ვაშინგტონში შვეიცარიის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიკაში მყოფი შვეიცარიელი სათადარიგო ჯარის კაცნი ყველა აუცილებლივ სამშობლოში დაბრუნდეს.

# ახალი ამბავი

✦ **თეთრბილეთებიანები.** სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით 1901—09 წლების თეთრბილეთიანების შემოწმება გადაიდო შემოდგომამდის.

✦ **ცვლილება სამინისტროში.** უმაღლესი ბრძანებით ოდესის ქალაქის უფროსი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

✦ **ნინოობა** ტფილისში საგანგებო ზეიმით იქმნა გადახდილი. ამ დღეს სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილი იყო. სიონისა და სხვა ტაძრებში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისები, ხოლო საღამოთი ახალ კლუბში ქართველ ქალთა საზოგადოების თაოსნობით გაიმართა საზეიმო საღამო, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა.

✦ **ქალაქთა კავშირის ბათომის კომიტეტი** ტრაპეზუნტის საჭიროებისათვის 100,000 მან. თხოულობს კავკასიის ქალაქთა კავშირისაგან.

✦ **მაუდი** ტფილისში თითქმის სულ აღარ იშოვება, ამიტომ ტფ. ქალაქის გამგეობამ მოსკოვის ქალაქის გამგეობას სთხოვა, დაუთმოს თავის ნივთიერ განყოფილებიდან მაუდი ტფ. ტრამვაის მოსამსახურეთა ტანისამოსისათვის.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ ოფიცერს ალექსანდრე ვასილის ძე გორგაძეს გადასცა ქართული წიგნები და რვეულები ქართველ მაჰმადიანების დასარიგებლად ქ. აზრუმში.

✦ **რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა:** „გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი მოათავსოთ: ამა წლის 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს დღეს ჩემი პოლკი გადიხდის თავის პირველ საპოლკო დღესასწაულს. ქართველთა პოლკის პოლკოვნიკი კვინიხიძე“.

✦ **„მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ პირველი და მეორე ნომერი ერთად. ჟურნალი შემდეგი შინაარსისა: მოწინავე წერილი, „მოხსენება“ ა. გრიგოლიასი და „ტფილისის გუბერნიის საკრედიტო კოოპერატივთა თათბირი“—დამსწრესი.

✦ **სახადი.** როგორც გუბერნატორს ატყობინებენ, სიღნაღში სახადი გაჩენილა. უკვე ათი კაცი გამხდარა ავად. ამიტომ იქაური მაზრის უფროსი შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ გაგზავნოს იქ მფრინავი რაზმი ამ სენის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

✦ **მკვლელობა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას სიღნაღიდან ატყობინებენ, საქობოს გზაზე ვიღაც უცნობთ მოუკლავთ ხანჯლით ნიკოლოზ კაკაშვილი.

✦ **დამფუძნებელი კრება** ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ტფილისის განყოფილებისა ამ მოკლე ხანში გაიმართება.

✦ **უბედური შემთხვევა.** 13 იანვარს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ავტომობილი დაეჯახა კუკიის მესამე საქალაქო სკოლის მოსწავლეს ვასილ ეგოროვს, 12 წლისას. ბავშვი ისე ძალიან დაასახიჩრდა, რომ გარდაიცვალა.

✦ **ქ. შ. წ. კითხვის გამავრ. საზოგადოებას** ივანე სვიმონის ძემ კოლელიშვილმა გადასცა მის მიერ საკვიტანციო წიგნაკებით შეგროვილი საწევრო ფული და შეწირულება სულ 177 მან.

✦ **ქართველ მოღვაწეთა სახაფლაოს სასარგებლოდ** ქ. მ. წ.-კ. გ. საზოგადოებამ მიიღო: ალაგირის განყოფილებისაგან—39 მან. 50 კ. და ინჟინერ ძნელაძისაგან ხაშურში შეკრებილი—66 მან.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** გამგეობის დღევანდელ კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნება საკითხი საქართველოს რუკის შედგენისა და გამოცემის შესახებ.

# სოფლად და ქალაქად

**ქუთაისი.**

✦ თებერვლის 20, 21, 22 და 23 გრ. პეტროვი წაიკითხავს ლექციებს ქალაქის თეატრში.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წევრმა ი. კაკაბაძემ განცხადებით მიმართა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სადაც სწერს, რომ მე ვიყავი არჩეული საბჭოს მიერ წარმომადგენლად შორაპნის სასურსათო კომიტეტში და სხდომებსაც ყოველთვის ვესწრებოდი, მაგრამ ვინაიდან კომიტეტს ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, რადგან მის მიერ განაწილებულ ვაგონებს ვერავინ ეღირსება და ყოველივე დადგენილება ამის შესახებ არასოდეს მიზანს არ აღწევს, გთხოვთ გამანთავისუფლოთ ხსენებულ კომიტეტში წარმომადგენლობისაგან, რადგან იგი უშედეგო ხარჯების მეტს არას იწვევსო.

✦ სეფე მხეიძემ წინადადება შეიტანა აზნაურობაში, რომ აზნაურთა წარმომადგენელს, როდესაც საამნაურო საქმეთა გამო პეტროგრადს უხდება ყოფნა, საამისო ფულიც ეძლეოდესო. ალსანიშნავია, რომ ხშირად ასეთი წინადადების განხილვა ხდება ისეთ საუცებო კრებებზე, რომლებსაც შემთხვევითი პირები ესწრებიან.

**თელავი**

✦ მეფე ერეკლე მეორის პანაშვიდი გარდახდილ იქმნა 11 იანვარს წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში, მეფის ყოფილ სასახლის იმ ოთახში სადაც კრწანისის გმირი გარდაიცვალა.

✦ წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბ. სახალხო სკოლების ინსპექტორის წინაშე ს. შილდაში (თელავის მაზრა) სკოლის გახსნის შესახებ.

შილდაში იმდენად საჭიროა სკოლის გახსნა, რომ იქ არსებულ სამინისტრო სკოლის მოწაფენი ჰმართავენ შინაურ სკოლებს და ბევრ შეგირდებსაც უყრიან თავს. სკოლის შენახვაში ყოველწლივ დახმარებას ჰპირდება შილდის ინტელიგენცია და წვ. კრედიტის ამხანაგობის გამგეობა, რომელმაც წრეულსვე 300 მანეთი გადადო.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავარ-გამგეობის წინაშე ომში გაწვეულთა შვილების მოსამზადებლად სკოლის გახსნის შესახებ თელავში. მოხსენებასთან წარადგინა სია იმ ბავშვებისა, რომელნიც ითხოვენ მიღებას.

სკოლის გახსნის საჭიროება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შემოდგომაზე მრავალი ბავშვი დარჩა სკოლის გარედ, ვისაც შეძლება აქვს ამზადებინებს და ვისაც არა, ისინი შემდეგისთვის ისე დარჩებიან. განზრახულ სკოლაში-კი მოამზადებენ უფასოდ და შემოდგომაზე სხვა და სხვა სასწავლებელში მიაღებინებენ.

✦ თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ მი ლო ორი ვაგონი ფქვილი. უმალვე დიდძალი ხალხი მიაწყდა ისე, რომ ორ დღეში სულ დაიტაცეს, თითო წევრს თითო ტომარას მეტი არ ეძლეოდათ.

ვიდრე ეს ფქვილი მოასწრობდა, პური გირვანქა $12^1/_2$ კ. იყიდებოდა მაგრამ ეს ფქვილი რამდენიმე დღის სამყოფია და მალე თელავს ისევ უფქვილოდ დარჩენა უქადის.

✦ კახელ მევენახეთა ამხანაგობის კახეთის გამგეობამ ოცდა ათ-ათი თუმანი შესწირა წ.-კ. გამავრცელებელ და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებებს. ეს ფული უკვე მიიღეს.

✦ ქალაქში გამოაკრეს განცხადებები ლურჯ ბილეთიანების 1906—1909 წლის გაწვევის შესახებ, უნდა გამოცხადდნენ თელავის სამხედრო უფროსთან 13 იანვარს.

✦ ბოლო არ ეღება მეეტლეების თავგასულობას, რკ. გზის სადგურზე სადამდინაც სულ 4 ვერსია, ლინეიკით მანეთ ნაკლებ არ მიჰყავთ ხოლო ეტლით 2 მანეთ ნაკლებ, იქიდან ამ ფასს აორკეცებენ. ამას ზედ დაუმატეთ სადგურების სიშორე, რომელსაც ეხლა აღარაფერი ეშველება, მაგრამ მიმოსვლის შეცვლა ხომ შეიძლება, რომელიც მეტად უხერხულადაა მოწყობილი —ნამეტნავად თელავიდან ტფილისში მიმავალი მატარებელი, და აკი ამისთვის სხვა სივიწროვის გამო, იშვიათი მგზავრი იქნება, რომ ტფილისის სადგურზე უდრო-უდროოდ მისვლის გამო, არაფერი მოჰპარონ და გულდაწყვეტილი არ დაბრუნდეს...

**ქასმთი**

✦ ლურჯ-ბილეთიანების მობილიზაციის გამოცხადებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მცხოვრებნი. აკლდება მუშა ხელი, ცარიელდება სოფელი, და აღარავინა რჩება სარჩოს მოსაყვანად, რის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან.

**დ. ჩოხატაური.**

✦ შაბათს, 14 იანვარს სამკითხველოს გამგეობის თაოსნობით ადგილობრივ თეატრის დარბაზში გაიმართება ტრადიციული საღამო, ნინოობა შემდეგი პროგრამით: ს. ს. ბოლქვაძის ხელმძღვანელობით და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით დაიდგმის დრამა ა. ცაგარლისა „ლეკის ქალი გულჯავარ“, მ. კ. ბერიძე წაიკითხავს მოკლე მოხსენებას წმ. ნინოს მოღვაწეობის და მისი მნიშვნელობის შესახებ. დასასრულ იქნება სიმღერები და ლექსები. წმინდა შემოსავალი გადაიდება ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ.

✦ ამ უკანასკნელ ხანამდი აქეთ გაზაფხულის დღეები იყო. 8 იანვრიდან კი საგრძნობლად აცივდა, იწყო წვიმა და თოვლიც მოვიდა.

✦ ადგილობრივ კოოპერატივს წინ სვლა ემჩნევა. თუ აქნობამდი გამართული იყო მარტო ფურნე, ამ ორი თვის წინად მას მიუმატოს, ბაკალეინური განყოფილება, შემდეგ გახსნეს საყასბო, ხოლო ამ უკანასკნელად კოოპერატივის გამგეობას თაოსნობით სახარაზოც გაიხსნა, რისთვისაც დაიქირავეს ოთხი ხარაზი და საქმესაც უკვე შეუდგნენ.

✦ ჩოხატაურის საბოქაულოს სამმა სოფელმა, სახელდობრ: გუთურმა, ახალშენმა და საყვავის ტყემ უკვე გაჰყიდეს თამბაქო 40 მანეთად ფუთი დაუწყობლად.

✦ ადგილობრივი სამკითხველოს და კოოპერატივის წლიური კრებები გაიმართება დახლოვებით ამ თვის ბოლო რიცხვებში.

✦ ამ დღეებში ჩოხატაურის საბოქაულოს მასწავლებლებმა უკვე მიიღეს დამატებითი ჯამაგირი 1-ლ ენკენისთვიდან 1 იანვრამდი მთლად 70 მან.

ქუთაისში
ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„იმერეთი“
ხელახლა აუწყებს ტფილისის გაზეთების ქუთათურ მკითხველებს, რომ რაკი სამივე ქართულ გაზეთის რედაქციასთან შეთანხმება ჯერჯერობით არ მოხერხდა გაზეთების ბინებზე დარიგების შესახებ და უამისოდ კი კანტორა მათ ხარჯებს ვერ კისრულობს **წარსულში საგრძნობელი ზარალის მოყენების გამო,—ამიტომ დღეიდან** კანტორა ხელის მოწერასაც მხოლოდ იმ პირობით მიიღებს თუ მსურველები **გაზეთებს კანტორიდან თითონ წაიღებენ.**
კანტორის საშუალებით ყველა ნაირ გაზეთებს მკითხველები იმავე დღეს მიიღებენ, მხოლოდ ნისიად **ისინი არა ვის მიეცემა.**

# ჩვენი მეზობლები

**მაჰმადიანები.**

ჟურნალ „დიკ ვე მანშათი“ სწერს: როდესაც ირჩეოდა საკითხი, თუ რა ენაზე იყოს სწავლება თათრულ სკოლებშიო, სათათბიროს მაჰმადიანთა ფრაქცია ორად გაყოფილა: ერთი ნაწილი მოითხოვდა თათრულ სკოლებში რუსულად სწავლებას, მეორე თათრულადო.

როგორც შემდეგ გამოარკვია დეპუტატმა ჯაფაროვმა, ჟურნალის ცნობა ტყვილი ყოფილა და ფრაქციაში ხსენებულ საკითხზე ლაპარაკიც არ ყოფილაო.

# სპარსეთის სურათები.

I

ენზელის ბაზრის მთავარ ქუჩაზე პატარა ჯგუფი იქცევს ჩემს ყურადღებას. შუაში ჩამდგარა მაღალი შავწვერა მოლა და რაღაცას ამბობს ხმამაღლა, გაბმით. ხელში უჭირავს საომარი ცული, რომლის ტარი ($1^1/_2$ ადლია) ან ვერცხლის არის ან თეთრი ლითონისა. ის მას ხელში ატრიალებს და ჩქარის ნაბიჯით ჯგუფის შუაშლდალის. ეს გახლავთ დერვიში—მათხოვარა-ბერი. გარშემო ჯგუფში ზოგი იღიმება, ზოგი-კი იქვე ქუჩის პირას ჩამომჯდარა, დიდრონ ყალიონს აბოლებენ და მშვიდად გაუნძრევლად შეჰყურებენ. ის კი ოფლს იწმენდს, რომ ბოლოს ორიოდე ყრანი იშოვოს. ქუჩის ორივე ნაპირას ბანკთა და დიდრონ სავაჭრო სახლთა წარმომადგენელთ საუცხოვო ხალიჩებზე ფეხები მოუკეცავთ და მოზრდილ ტომრებში ვერცხლის ფულს ითვლიან ან ჰყრიან. შორს ისმის ვერცხლის ხმა და დევრიშის ენერგიას აორკეცებს.

II

მურდაბის ნაპირას მიუხედავად ნესტიანი სიცივისა გატიტვლებულა ათამდის კაცი. მათ მარტო ნიფხავი აცვიათ. აი ერთ მათგანს დაადეს წელზე ბრინჯით სავსე ტომარა. ტომარას მან ხელები ამოსდო ქვემოდან. თავი მოკრული არ აქვს და პირამდე სავსე ბრინჯი შეუჩვეველ კაცს უთუოდ დაეყრება. გილანელი კი ჩქარი და წვრილი ნაბიჯით მიემართება სასწორისაკენ. ტომარა სდგას წელზე და ზურგს არ ეხება. არ შეინძრევა, არ დაიხრება შიგ მარცვალი არ დაინძრევა. ყოველი ახალი ტომრის გადატანა ოფლის წვეთებად ემჩნევა მის სახეს. აი თითქოს ისეთი მარდი ნაბიჯიც არ აქვს და სახეზე შეწუხება ეხატება, მაგრამ ისევ სწორდება... ეს ტომარა მას სირბილით მიაქვს. განუახლდა ძალაც და ენერგიაც, ღასდო სასწორზე... უკვე ბილეში არის. საიდგანღაც ხელში ყალიონი გაუჩნდა ერთი მძლავრად შეისუნთქა შავი მაგარი ბოლი და ნელა ჩვეულებრივის სიდინჯით იცვამს ნაფლეთებს.

მუშაობა გათავდა!..

III

ყაზვინში ვიწრო დაკლაკნილ რეშტის ხეიბანზე, ბაზარში შესახვევთან მინანქრიან კედლებთან სხედან მოლები. ტანზე შავი ანაფორის მზგავსი სამოსელი აცვიათ. თავზე თეთრი ჩალმები შემოურტყამთ ქილის მაგვარი ქუდის გარშემო. მიწაზე პაწაწინა ხალიჩები დაუგიათ და ზედ ფეხმოკეცილნი სხედან. მარცხენა ხელი უბეში შეუყვიათ. მარჯვენაში კი ყურანი უჭირავთ. ოთხივე კითხულობს ხმა მაღლა გაბმით. ისმის არაბული ენის დამახასიათებელი თანხმოვანი ასოები. აი აქლემმა თითქმის თავზე გადაალაჯა ერთ მათგანს. ვირზე გადაკიდული ტომრები თითქმის ცხვირზე გაექრა მეორეს. ავტომობილმა მტვერით დაჰფარა დახრილი თავები. ისინი გრამოფონივით მხოლოდ სიტყვებს ამბობენ—არ ინძრევიან. ხან ერთი ხან მეორე თავს მაღლა აიღებს, ზეცას შეხედავს მელოცნებე თვალით. თვალებში არაფერი არ გამოიხატება ის შენ გიყურებს და ვერ გხედავს. ნათლად ამჩნევ, რომ მისთვის არ არსებობ და ის შენს იქით როგორც გამჭვირვალე შუშაში იხედება.

რაღაცას უსმენს, მაგრამ მის გარშემო რა ხდება არ ესმის. გამვლელმა ყურანზე ნიკელის გროში დაუდო. ის არ შენძრეულა. არ შეუხედავს. მადლობა არ უთქვამს. ფული ჩაცურდა, ხელში ჩაუვარდა, ხელიდან სახელოში. მოლა-დევრიში კი ზის და კითხულობს...

IV

მრავალი წლისა, შეიძლება ითქვას საუკუნოების მოწმე, უზარმაზარი ჭანდრებით გამშვენიერებული ფართე შაჰის ხეივანი, რომელიც შაჰის ბაღის შესავალშია. აღმოსავლეთის ბოლოში მარჯვენა მხარეს თუ თეირანისკენ მიდიხართ არის ყაზვინის საუკეთესო ხილის დუქანი. სჩანს რომ ქულბაქი შიგნით ღრმა არის მაგრამ თქვენ მხოლოდ 5—6 წყება თაროს ხედავთ.

დუქნის შუა თაროები შეჭრილია ისე რომ თავისუფლად დაჯდეს ერთი ადამიანი. პირველი თაროს სისწორეზე გამართულია საჯდომი ტახტი. ზედ მხიარულ ყაზვინელს რბილი ხალიჩა დაუგია და ფეხი მოუკეცავს. ფეხსაცმელები არსად სჩანს და ჰრელი წინდები კოხტად გამოიყურებიან. მას მარტო ხმელი ხილი აქვს. ღრმა თაბახზე დაყრილ ხილში აუცილებლად ბჭყვრიალა თითბრის სინიც არის.

თხილი მოხალული, მარილით, უმარილო. ნუში, ქიშმიში, მოხალული მიწის თხილი მარილით და უმარილო. გარჩეული მოხალული და მოუხალავი თხილი და ნიგოზი, ჩურჩხელები, თაფლი და მრავალი სხვა.

— რა გნებავთ არბაბ (ბატონო)? თხილი მარილით? უმარილო? ინებეთ. გადასწვდა თხილს. სინით გადმოიღო მარდად ასწონა და წინ დამიდო. სანამ მე თხილს ჯიბეში ვიყრიდი, მან ასევე დააკმაყოფილა ხუთიოდე კაცი. ერთხელაც არ ამდგარა. ყოველივე ხილს ის ადვილად მისწვდება და ადგომა არ სჭირდება. დუქნის გაწყობის დროს სჩანს ყოველივე გაუთვალისწინებია და მომავალი მოძრაობის გაზომვით ის საოცრად შეუმცირებია.

V

მზემ თავისი სხივების გაგრილება იწყო და მტვრიანი ყაზვინის თიხის დედაქალაქით მოწყენილი ნელნელა დასავლეთისკენ გაემგზავრა. შაჰის ბაღის ალაყაფის მარცხენა აივანზე გამოჩნდა ოთხი კაცი. ალაყაფის კარები ეტყობა საუცხოვო ყოფილა ერთდ, როსის ნახევარ გუმბათად არის ამოყვანილი და მინანქრის სპარსეთის გერბთან ერთად მინანქრისვე იყო მთელი ცა. მაგრამ მეამბოხეებთან ბრძოლის დროს მინანქარი მრავლად ჩამოცვივნულა ტყვიებისაგან. დაუკრეს დუდუკს, დაჰკრეს დოლს და გაისმა ზურნის ხმა. დუდუკი კარგია, მაგრამ საერთოდ შეთანხმებულად ვერ უკრავენ და ჰარმონია ირღვევა; მაგრამ აი თითქოს ერთმანერთს ეჩვევიან და შეიძლება... უცებ გაისმა რაღაც ულაზათო ბოხი ხმა, ეს მეოთხემ ჩაჰბერა თავისს უცნაურს გძელ სამუსიკო იარაღს და გამოსცა ბღავილსა თუ ვირის ყროყინის მინამზგავსი ხმა.

ხეივანზე მოდის ცხენით ქურთი. საუცხოვო ცხენია. სპარსეთში იციან ცხენების მოვლა!.. მსუქანი, წმინდაა კენგურუსავით. იორღა და თოხარიკი მათთვის არ არსებობს—ნაბიჯი ნახტომი ან გაჭენება. საშინელი საყვირის გაგონებაზე ცხენი ყალხზე შესდგა, მაგრამ ქურთი თითქოს მოელოდაო მაგრად დაეყრდნო უზანგებს, ცოტა გადიხარა სადავიანი ხელი თეატრალურად მაღლა ასწია და უნებლიედ გამახსენდა ნაპოლეონის ძეგლი, რომელიც ალპებისთვის დაუდგეს. ცხენი მარდად, თავისებურად—„სპარსულად“ ხტოდა და უშნო ქურთთან ერთად საუცხოვო სურათს წარმოადგენდა.

**იაძე.**

# ტფილისის ქართული გიმნაზიის გარშემო

13 იანვარს საგუბერნიო მარშლის თ-დ აბხაზის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებისა მისი გაგრძელება კვირას, 15 იანვარს დაინიშნა და ამ დღეს კრება გათავდა კიდეც.

კრებას სამი საკითხი ჰქონდა განსახილველი. 1) მასწავლებელთათვის ჯამაგირების მომატება, 2) საზოგადოების სახლის (განოვის ქუჩაზე) გადაგირავება და 3) გიმნაზიის მართვაგამგეობის რეორგანიზაცია ინსტრუქციის ფარგლებში.

გამგე კომიტეტის მოხსენებით ამ წლისათვის მასწავლებლებს ზედმეტი მიეცემათ 24 ათასი მანეთი. ეს ფული განაწილდება კორპორაციაში ისე, რომ ცოტა ჯამაგირის პატრონს მეტი პროცენტი მიეცემა, ვიდრე დიდ ჯამაგირიანსა. კრებამ წინადადება მიიღო.

კომიტეტის მოხსენებითვე გადაწყდა განოვის ქუჩაზე მდებარე სახლის გადაგირავება. სახლს იმდენი „ნედოიმკები“ დასდებია, რომ რაც უნდა გადიდდეს შემოსავალი, მაინც ხარჯს ვერ დაჰფარავს, გადაგირავებით კი მოშორდება ეს ზედმეტი ვალი და სახლის მდგომარეობაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგებაო. კრებამ დასტური დასცა.

დიდი და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხმა. გამოირკვა, განზრახულ ცვლილებისათვის წესდების შეცვლა არ ყოფილა საჭირო.

მაისში მასწავლებელთა კორპორაციას წარუდგენია მოთხოვნილებანი, რათა მათი უფლება გაფართოვდეს. საამისოდ გამგე კომიტეტისათვის დაუვალებიათ განსაკუთრებულ კომისიასთან ერთად მუშაობა და საკითხის გამორკვევა, კომისიაში ყოფილან კომიტეტის მიერ მიწვეული პირები და პრესის წარმომადგენელნი. რადგან მასწავლებელთ დაუნახავთ, რომ მათ მოთხოვნილებათა ასრულება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, კომპრომისი ურჩევიათ და გამგე კომიტეტ-კომისიის დებულებანი უმრავლეს შემთხვევაში შეთანხმების ნაყოფი იყო, გარდა ერთის მუხლისა, რომელიც მასწავლებელთა არჩევას შეეხებოდა.

კომისიის და კომიტეტის დებულებები, რომელნიც კრებამაც მიიღო, შემდეგია: გამგე კომიტეტის შემადგენლობა ასეთი იქნება: 7 კაცი წევრი კომიტეტისა, სამი წარმომადგენელი საპედაგოგიო საბჭოსი და ერთიც მშობელთა წრისა. ამ შემადგენლობას დირექტორის არჩევის დროს ემატება 2 წარმომადგენელი საპედაგოგიო საბჭოსი და ერთიც მშობელთა წრისა. ყველანი კომიტეტის წევრთა გარდა, სათათბირო ხმით იქნებიან.

თუ საპედაგოგიო საბჭოს ერთი მესამედი მაინც წინააღმდეგი იქნება რაიმე ზომისა, საკითხი გადადის გამგე კომიტეტში (ახალი შემადგენლობით) და აქ მის გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებენ საპედაგოგიო საბჭოს უმრავლესობის და უცირესობის წარმომადგენელნი.

დიდი ლაპარიკი გამოიწვია პუნქტმა, რომელიც მასწავლებლებმა წამოაყენეს—ჩვენი ამხანაგების მიღება და დათხოვნა ჩვენივე საქმე უნდა იყოსო. ახალი მასწავლებელნი მიიღებიან ერთის წლით. ამ ერთი წლის განმავლობაში ამხანაგები და ეგრედ წოდებული სასაგნებო კომისია სპეციალისტებისა თვალყურს ადევნებს მის მუშაობას და დაასკვნის—საჭიროა თუ არა მასწავლებლის დამტკიცება, შტატში ჩარიცხვაო.

კრებამ არ შეიწყნარა ეს მუხლი და დაადგინა: მასწავლებელთა დანიშვნა და დათხოვნა სწარმოებდეს იმავე წესით, რა წესითაც ირჩევა დირექტორი—ესე იგი აქ საქმეშიაც მასწავლებლებს მხოლოდ სათათბირო ხმა აქვთ. რაც შეეხება გაკვეთილების განაწილებას—ამ საქმეს განაგებს სასაგნებო კომისია დირექტორის თავმჯდომარეობით.

# დღევანდელი ვითარება

„დაე იყვეს ისე, როგორც არის, ან სულ ნუ იქნებაო“, ასეთი პასუხი გასცა იეზუიტების გენერალმა მამა რიჩმა მათ, ვინც მოისურვა იეზუიტთა საზოგადოების განახლება, წეს-რიგის შეცვლა. მოგვწონს მამა რიჩის გულ ახდილობა და აშკარად გამოთქმა გულისნადებისა.

კაცობრიობა უეჭველია ბევრს მოიგებდა, ძველის ყოველი მოტრფიალე ასე გულწრფელად რომ გამოსთქვამდეს თავის აზრსა.

თქმით კი ბევრს შეეძლო იმავე აზრის სიტყვების თქმა. ი ტორიის მრავალი მაგალითი გვეუბნება ამასა.

როცა რომელსამე კლასს, წოდებასა თუ კერძო პირს ძველი წესწყობილება რამე უპირატესობას ანიჭებს—ქონებრივსა თუ სხვა ხასიათისას—ამ უპირატესობის შესარჩენად ხშირად გაიმეტებს მთელს ერს, ხალხს, სახელმწიფოს—ოღონდ კი:

„იყვეს ისე, როგორც არის“...

მარტო საფრანგეთის რევოლიუციის დრო რად ღირს? მოიგონეთ...

ხალხს სუფთა ჰაერი სურდა, პური ჰშიოდა, თავისუფლება სწყუროდა, ადამიანური ცხოვრება. მოკლებული იყო ყოველსავე ამას.

აღსდგა მოსაპოვებლად.

მეფე, მთავრობა, უმაღლესი სამღვდელოება, ფეოდალები შეშფოთდნენ, შეებრძოლნენ ხალხს. მაგრამ საკუთარის ძალით რომ ვერას გახდნენ, მიჰმართეს უცხო სახელმწიფოებს, რათა თოფ-ზარბაზნით აღჭურვილს მათს

ლაშქარს საფრანგეთის ხალხის სისხლი დაენთხია და ძველი წეს-წყობილება გაემაგრებინა და უზრუნველეყო. განა ამ წეს-წყობილების მოტრფიალეთ არ შეეძლოთ თამამად, წარბშეუხრელად გაემეორებინათ მამა რიჩის ნათქვამი:

„დაე იყვეს ისე, როგორც არის ან სულ ნუ იქნებაო“.

განა ესევე სიტყვები ხშირად ხორცს არ ისხამდა საქართველოში“.

ხომ ხშირი იყო მაგალითი:

როცა რომელიმე ჭკუა-გამჭრიახი, ქვეყნისათვის დაფიქრებული მეფე მოისურვებდა დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებას, ყოველის მხრით აესეოდნენ ძლიერნი ფეოდალნი, ხშირად საქართველოს მოსისხლე მტერს—გარეშე სახელმწიფოებს მიჰმართავდნენ მეფის წინაამდეგ ბრძოლაში დასახმარებლად.

სახელდობრ: „გარდმოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ (მე-3), რათა განაგეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თილვას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა, ორმელთამე არა ენება გადმოსვლა მისი, რამე თუ თვითეულად გააგებდეს საქმეთა ქართლისათა... იწინამძღვრეს ქავთარ-ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა“. „აზნაურნი ტაოელნი“ მოგვითხრობს მემატიანე სუმბატ დავითის ძე „და ბნელი ეპისკოპოსი (იოანე) და ამათთან უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხეთა და რომელნიმე უციხონი განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა“, „როცა ერთი წლის შემდეგ საქართველოს ბასილ კეისრის ჯარი შემოესია და ქვეყნის აოხრება დაიწყო და კლდე-კარს გარს შემოერტყა „...განდგეს კუალად აზნაურნი და მისცეს ციხენი, ჩანჩუხამან ერისთავმან მისცა ციხე ცეფთისა და თვით წარვიდეს იგინი საბერძნეთს“. (იხ. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, თავი მეექვსე).

მგზავსი მაგალითი უამრავია საქართველოს ისტორიაში.

ცხადია, რადაც იქცეოდნენ ასე:

საქართველოს გაერთიანებას მოჰყვებოდა სახელმწიფოს გაძლიერება, სახელმწიფო ძალა-უფლების გაზრდა ეს ხომ ფეოდალების ძალა-გავლენის შესუსტებას ნიშნავდა.

განა ამის შემდეგ ქართველ ფეოდალებსაც არ შეეძლოთ თამამად, წარბ-შეუხრელად ეთქვათ:

„დაე იყვეს ისე, როგორც არის ან სულ ნუ იქნებაო“ ან რითი ჩამორჩებოდნენ თავიანთ წინაპრებს მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ფეოდალები? ...განსაკუთრებით საუკუნის დამდეგს..

# ქალთა შრომა და მათი უფლება სპარსეთსა და ოსმალეთში

(შთაბეჭდილებანი).

შეიძლება ეს სათაური მეტად ფართო იყოს, რადგანაც ნახული მაქვს მხოლოდ მცირედი ნაწილი ორივე ზემოხსენებული ქვეყნისა, მაგრამ ვგონებ არ შევსცდები, თუ ჩემს პატარა დაკვირვებას ორივე ქვეყნის დამახასიათებელ ნიმუშად ჩავსთვლი.

ქალი ოსმალეთში ოჯახის პატრონია. იგი ზრდის ბავშვებს, უვლის ოჯახს, ჰბარავს და სთოხნის ყანებს, ზიდავს სიმძიმეს. ერთის სიტყვით ასრულებს ყოველივე „კაცურს და ქალურ“ საქმეს. მამაკაცები კი როგორც ხუმრობით ამბობენ „მწყემსვენ მათ რათა არავინ აწყენოს“. რამდენჯერ მინახავს პაპანაქება სიცხეში, ციცაბო ბილიკებზე, მიემართებიან ერთი მეორის უკან ჯგუფ-ჯგუფად სოფლელნი, წინ მიდიან ქოლგით ხელში მამაკაცები, უკან კი კაბებ ამოკაპიწებული ტვირთით ზურგზე, მძიმე ხვნეშით, მიჰყვებიან ქალები. საკმარისია ერთმა მამაკაცთაგანმა მოიხედოს და ქალები ერთად იტაცებენ ჩადრზე ხელს და ამ საშინელ სიცხეში თავს შიგ გაახვევენ. შეიძლება მათი ტვირთი გაინაწილოს პატარა ბიჭმა, მაგრამ არასოდეს მოწიფულმა ყმაწვილმა ან მამაკაცმა. სუოკალას ხეობაში ერთხელ წამოვეწიე კაცს და ქალს, რომელთაც ტვირთი შუა გაეყოთ, მაგრამ დამინახეს თუ არა კაცმა ტვირთი მაშინვე ძირს დააგდო და ქალს ზურგზე აჰკიდა. კაცს სძვენია ქალს შრომა შეუმსუბუქოს და სხვის დასანახავად შეიბრალოს იგი. მისი სიტყვა გარდუვალი კანონია და ქალი კი ყურმოჭრილი მონა.

ცოტა უფრო კარგ მდგომარეობაშია სპარსელი ქალი. მართალია აქაც ქალი მამაკაცთან ვერ გამოჩნდება. ახლობელ ნათესავთანაც კი ვერ სჭამს პურს, რადგანაც ჩადრის ოდნავად მოხდაც კი სასტიკადაა აკრძალული მაგრამ აქ შრომა განაწილებული მაინც არის, რადგანაც ყანაში აქ მამაკაცი მუშაობს, ქალი კი მხოლოდ ჰშველის.

სპარსელი მამაკაცი ოსმალოზე უფრო დაჩაგრული და ბეჩავია და შეიძლება სწორედ ამას მივაწეროთ, რომ აქ ქალები იმდენად ვერ დაუჩაგრავთ. ტენდენცია კი ქალთა დამორჩილებისა იქაც და აქაც სავსებით ერთფეროვანია.

ოსმალეთში ჩასახლებულ ბერძნებს კარგად უსარგებლნიათ ოსმალების მაგალითით და მათი ქალებიც ისევე დაჩაგრულია, როგორც ოსმალოსანი. მართალია ბერძენი ქალები ჩადრს არ ატარებენ, მაგრამ შრომის სიმძიმე სავსებით მათ აწევთ, უფლებანი კი მათთვის არ არსებობენ.

მიუხედავად ასეთი მძიმე შრომა-უუფლებობისა ოსმალო ქალი ცოცხალი და კეკლუცია, მას თითქოს შრომამ შეჰმატა ინიციატივა და ენერგია და მათი ქმრები, რომ თავის ბატონობას შარიათზე არ ამყარებდნენ, შეიძლება ქალებს უფლებაც მოეპოებინათ. აკი სტამბოლში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ქალებმა ჩადრი მოიხსნეს და დაჭრილთა მოვლას და მათთვის ფულის შეგროვებას შეუდგნენ. სამწუხაროდ ის რაც შესაძლებელია მკვირცხლი ოსმალოს ქალისთვის, შეუძლებელია სპარსელი მამაკაცისთვისაც კი. აქ უფლებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ შორს არის და ადვილი შესაძლებელია, მას გარედან დასჭირდეს დაჩქარება, როგორც ოდესღაც იძულებულნი ყმა-მონები ზოგიერთ ქვეყნებში. მით უმეტეს, რომ სპარსეთში ქალთა უუფლებობის ისტორიას შორს აქვს დასაწყისი უკვე დიდ სპარსეთის იმპერიის დროს აქ ქალების უფლება დათრგუნვილი იყო და მათი კანონები ქალს სახეს პირბადით უბურავდნენ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ შარიათის ბრძანება აქ უფრო მტკიცედ და ადვილად იყო შემოღებული და დღესაც საუკუნოებრივი ჩვეულება ჩვეულებრივია. ფანატიზმის აღორძინებასთან ერთად ოსმალოს ნერვიულმა არსებამ უფრო ფიცხად და ნერვიულადვე შეითვისა ახალი კანონი. გასაკვირველიც არ არის, რომ ოსმალეთში ქალის მდგომარეობა უფრო ცუდი შეიქმნა ვიდრე სპარსეთში. პირველთ ფანატიზმი ამოძრავებდათ, მეორეთაკი უფრო ჩვეულება და ამიტომ კანონს ძირამდის არ ჩაჰყოლიან. სამწუხაროდ მაჰმადიან ქალის ცხოვრების დაკვირვება არა მაჰმადიანისთვის მეტად ძნელია, და ადამიანი იძულებულია მხოლოდ შემთხვევით ფაქტებს დაემყაროს მათი ცხოვრების შესასწავლად. ოსმალეთის დიდმა გავლენამ ლაზისტანიც ჩაითრია და აქაც ქალი შეიქმნა დედა-ბოძი შინაური და სამეურნეო შრომისა. მამა-კაცი კი უფრო საზღვაო ან გარეშე სამუშაოს ეწევა. სახლში მოსული კი სტუმრის ან ბატონის როლს თამაშობს. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგანაც ლაზისტანი დიდი ხანია ოსმალეთს შეეგუა და მათი მრავალი ჩვეულება შეითვისა. ცოტათი განსხვავდება ლაზების მდგომარეობისაგან აჭარელთა მდგომარეობა. აქ ქალი იმდენად დაჩაგრული არ არის და სოციალურადაც უფრო მაღლა სდგას. აქ უკვე ასე თუ ისე ეტყობა გავლენა დანარჩენი საქართველოსი.

იაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ პატივცემულ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი და გულითადი მადლობა ვუძღვნა სამღვდელოებას, სამწყსოს, დაწესებულებათ და იმ კერძო პირთ, რომელთაც ჩემი ტფილისის სიონის საკათედრო ტაძარში 25 წლის სამსახურის აღსანიშნავად ინებეს მოლოცვა ვინ პირადად, და ვინ წერილით, ანუ ტელეგრამით.

ტფილ. სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ალექსანდრე სიმონიშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

„სახალ. ფურც.“ № 766, ბ. სამსონ დადიანის წერილიდან (დარამატ. საზ. კრებები) გამოირკვა, რომ მე გაუგებრობის მსხვერპლი გავმხდარვარ, შეცდომაში შევუყვანივარ, ამიტომ სიმართლის აღსადგენად ნება მიბოძეთ საზოგადოებას გავაცნო საქმის მდგომარეობა.

შარშან მაისში დრამ. საზოგ. კრებამ დაადგინა: „ვ. შალიკაშვილს მიეცეს დახმარება წელიწადში 600 მან. (თვეში 50 მან.). ეს დადგენილება მე ისე გავიგე, რომ მომეცემოდა „პენსია“, როგორც ავადმყოფს, ვიდრე სრულიად არ განვიკურნებოდი, ან არ მოვკვდებოდი, და ორივე ეს საკითხი კი ამ ორ წელიწადში უსათუოდ გადაწყდებოდა. თუმცა ამის ეჭვი მქონდა, მაგრამ ეს ეჭვი გამიქარწყლა გამგეობის წევრმა ბ. ი. გედევანიშვილმა. როცა აგვისტოში ტფილისში ბ. გედევანიშვილი ვინახულე, მკითხა: „წელს რას აპირებთო“? მე ვუპასუხე:—„ბათომში მიწვევენ და იქ მივდივარ-მეთქი“.—„თუ მუშაობა შეგიძლიათ, ბარემ ჩვენთან დარჩით, აქ უფრო ცოტას გამუშავებთ, ჯამაგირიც გექნებათ და „პენსიაცო“. „არ შემიძლია, რადგან იქ უკვე სიტყვა მივეცი და ეს ზამთარიც მინდა ზღვის პირად გავატარო, იქნებ მოვღონიერდე მეთქი“. ჩამოვედი ბათომში, დავიწყე მუშაობა; ოქტომბერში ვასო აბაშიძე მოვიწვიე „მსხვერპლში“. ჩამოვიდა და მითხრა: „ი. გედევანიშვილმა შემოგითვალა, „პენსია“ თვედა-თვე გამოგიგზავნო, თუ აქ შეგინახოო“. ეხლა კი სრულიად დავრწმუნდი, რომ ეს ფული მეძლეოდა ეხლაც, როცა ვმუშაობდი და ვსთხოვე ბ. გედევანიშვილს ვასოს პირით, ფული გამოეგზავნა, რადგან სიძვირის გამო ჯამაგირი არა მყოფნიდა. ჩემს თხოვნას რა შედეგი მოჰყვა, ეს მკითხველ საზოგადოებასაც კარგად ახსოვს. რა მოხდა მერე, რატომ გახდა ეს საკითხი ხელმეორედ საზოგადო კრებისათვის „სააპელაციო“—ჩემთვის დღესაც გაუგებარია. როცა კრებამ ეს ფული დამინიშნა, კარგად იცოდა, რომ 50 მ. ცხოვრება შეუძლებელი იყო, მაგრამ მომცა ის, რის მოცემაც შეეძლო. ამისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. მუშაობაზე დავთანხმდი არა იმიტომ, რომ ძალიან მსურდა და შემეძლო, ან ექიმებიც ნებას მაძლევდნენ,—დავთანხმდი, რადგან იმ 50 მ. გარდა არავითარი საშუალება არა მქონდა არსებობისა და თვეში 50 მ. ცხოვრება ჩემისთანა ავადმყოფისთვის და ისიც ამ სიძვირეში, დამეთანხმებით, შეუძლებელია. ვიმეორებ—მე მეგონა ეს ფული ეხლაც მეძლეოდა და ეს ჩემი „მეგონა“ ბ. გედევანიშვილმაც, როგორც გამგეობის წევრმა დამიდასტურა სამჯერ; ერთხელ პირადად მე, მეორეჯელ ვასო აბაშიძის პირით და მესამედ, როცა მე წერილით ვსთხოვდით ფული გამოეგზავნა, გრიშაშვილს უთხრა—„მისწერე შალიკაშვილს,—ფული მალე გაეგზავნებაო“. ყველა ამის შემდეგ გამგეობა და მათ რიცხვში ბ. გედევანიშვილიც, საზოგადო კრებას ასეთ განმარტებას აძლევს: „შალიკაშვილს ავადმყოფობისა და უსახსრობის გამო დაენიშნა თვეში 50 მ., ეხლა უკვე არის, ჯამაგრიც ეძლევა, ამიტომ აღარ გაუგზავნიდითო“. აღარფერი გამეგება! თუ ტფილისში დავრჩებოდი სამუშაოდ ბ. გედევანიშვილი ჯამაგირსაც მაძლევდა და პენსიასაც, ბათომში ჩამოველ ჯამაგირზე, ეს ბ. გედევანიშვილმაც იცოდა და მაინც აბაშიძის პირით ეს სიტყვები შემოითვალა, გრიშაშვილსაც მოაწერინა!! საზოგადო კრებას კი სულ სულ სხვა მოახსენეს! რას ნიშნავს ესა? ვისთვის რა საჭირო იყო ჩემი ასე მასხარად აგდება?!

ეს რომ ასე არა ყოფილიყო, როგორც სხვა დაწესებულებაში არ შევჭრილვარ თავხედურის მოთხოვნით, მერწმუნეთ, არც დრამ. საზოგ. გამგეობაში შევიჭრებოდი.

„ამ ფულიდან 200 მ. უკვე მიღებული აქვს შალიკაშვილსო“ მართალია, მიღებული მაქვს, მაგრამ ყოფილ გამგეობისა და ჩემ შორის ძველი ანგარიშებიც არსებობს, რომელსაც, როცა ტფილისში ჩამოვალ უეჭველად გავასწორებთ.

რაც შეეხება მომავალს, მე მუშაობას განვაგრძობ, რადგან 50 მანეთით ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო ავადავარ თუ კარგად—ეს საზოგადოებამ უკვე იცის. ამ ფულის შესახებ კი დღეიდან, სიტყვას გაძლევთ, კრინტსაც არ დავძრავ; სხვებსაც ვსთხოვდი, ნურას იტყვიან, რადგან ამ საბედისწერო 50 მან. გარშემო იმდენი ლაპარაკი ატყდა, ლამის ძარღვები დამაწყდეს.

ბოლოს ვიხდი დრამ. საზოგადოების წინაშე, თუ ჩემდაუნებურად მისი გულკეთილობა ბოროტად მოვიხმარე.

ვალ. შალიკაშვილი.

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით ორმოცდა-ხუთ მანეთს ქართული თეატრის აღსადგენ ფონდის გასაძლიერებლად შემდეგ პირთა შორის შეკრებილს: კოწია ჩაჩავა, ლევან ზენაიშვილი, კოლა ციციშვილი, ლადო ცაგურია, ვასილ მეგინეიშვილი, გრიგოლ გეგენავა, დიმიტრი ცინცაძე, ნესტორ ქიქოძე, ილიკო მასხარაშვილი და დათიკო წერეთელი.

პატივც. ილიკო მასხარაშვილი.
ქ. ტრაპიზონი.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ჯორჯაძე.


## დღეს:

სახაზინო თეატ. ოპერა

არტისტ. საზ. რუსული დრამა

ახალი კლუბი. სიმებ. ორკესტრი.

ხარფუხის კლუბი. სიმ. ორკესტრი.

ძმ. ეფიმოვების ცირკი. საცირკ. წარმოდგენა.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

| | | | ს. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9,28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 9 „ | დილ. |
| გორისკენ | სამგზ. | № 5, | 9.10 | დილ. |

ტფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10 | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | № 2, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | | 6.34 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | „ |

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, უოლის ქუჩა (ვარდის კვირისა)

დილით:

11—12 ს. „606“ და „914“

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).

ბ. გ. ავახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა. ნ. ოხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი. 1057

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 19 იანვარს, შუადღის 12 ს. დანიშნულია

## საჯარო შეჯიბრება

ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილის იჯარით გასაცემად კიოსკის ასაშენებლად.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში, მუშაობის დროს. 1017

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

წელიწადი მესამე „ჩვენი მეგობარი“ წელიწადი მესამე

გაზეთი პირველ იანვრიდან გამოდის დიდი ფორმატით

გაზეთი ღირს წელიწადში 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 40 კაპ., თვეში ქალაქში 1 მან. 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, „ჩვენი მეგობრის“ რედაქცია, ფანჩულის ქუჩა, ჭილაძის სახლი Кутаисъ, редакція „Чвени Мегобари“. Почт. Ящ. № 26.

თევზის მრეწველნი

## ძმ. ქემხველოვები

პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.

ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიამი. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება. 1035

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## ნ. ვ. აბრამიანისა საბუღალტერო კურსები

(არსებობს 1895 წლიდან).

ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მეცადინეობით.

15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1917 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი გაეგზავნებათ და მიეცემა ყველას უფასოდ კურსების კანცელარიიდან ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 1447

## კაცობრიობის მტერი დამარცხებულია!!

სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,

ბოლო მოეღო ტანჯვას.

## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“ თავისი შესაშხაპუნებელით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთულ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია

თუ თქვენთვის ეს საქმედ არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა.

საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. სუსუნატი გახლავთ ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახალის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ ტფილისი, ცხინვალის ქუჩა № 12. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელაფის ქუჩის. 2 ნაწ.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12. 2 уч. отд. 1—2.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. 1353